

თომას ჰაიზერმანის (Thomas Häusermann) ბიოგრაფია

თომას ჰაიზერმანი 1947 წლის 31 მარტს ციურიხში, მათემატიკის მასწავლებლის, ალბერტ ჰაიზერმანისა და რენტგენოლოგის, მარგარეტ ჰონეგერის, ოჯახში დაიბადა. 6 წლის განმავლობაში ციურიხის დაწყებით სკოლაში დადიოდა, ხოლო მომდევნო 6.5 წელი - ლიტერატურულ გიმნაზიაში, სადაც ლათინური, ფრანგული და ძველბერძნული ენები შეისწავლა. მოწაფეობის დროს ბევრს კითხულობდა. თუმცა, განსაკუთრებით მუსიკა იტაცებდა. ის 9 წლის ასაკიდან უკრავს ფორტეპიანოზე.

სკოლის დამთავრების შემდეგ, თომასი მშობლებმა 2 თვით ინგლისში გაგზავნეს ინგლისურის შესასწავლად. შინ დაბრუნებულმა თომასმა გერმანიისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. ლექციების კურსმა რუსული, განსაკუთრებით კი ოსიპ მანდელშტამის პოეზიის შესახებ, რუსული ენის შესწავლა გადააწყვეტინა.

1972 წელს, სტუდენტური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, თომას ჰაიზერმანი ლენინგრადს ესტუმრა, საიდანაც 2 კვირით საქართველოში ჩამოვიდა. ეს მისი პირველი ვიზიტი იყო ჩვენს ქვეყანაში. ვეებერთელა და ცივი ლენინგრადისგან განსხვავებით, სიცოცხლით აღსავსე, მჩქეფარე თბილისმა მასზე მომაჯადოებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

შვეიცარიაში დაბრუნების შემდგომ, თომას ჰაიზერმანმა პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და ექვსი წლის განმავლობაში მასწავლებლად მუშაობდა „ციურიხის ნამალადევი“.

1980 წელს კი პედაგოგიურ საქმიანობას თავი დაანება და მუსიკალურ განათლებას მოჰკიდა ხელი. 2012 წლამდე ის მანედროფსა და ქიუსნახტში მუშაობდა მუსიკის მასწავლებლად, პარალელურად კი რეგულარულად მონაწილეობდა ადრეული ბაროკოს სტილის და კამერული მუსიკის კონცერტებში.

1991 წელს თომას ჰაიზერმანი, „შვეიცარიის მასწავლებელთა გაერთიანებასთან“ ერთად, უკვე მეორედ ესტუმრა საქართველოს. ჯგუფის ხელმძღვანელი სლავისტი ქრისტიან ვაისი მიზნად ისახავდა ვეთინგენის სკოლისა და თბილისის მეექვსე საავტორო სკოლის მოსწავლეების გაცვლითი პროგრამის ამოქმედებას. მეექვსე სკოლაში სტუმრობის დროს, ბატონმა ჰაიზერმანმა გაიცნო ენათმეცნიერი და ფილოსოფოსი გურამ რამიშვილი. ამავე ვიზიტის ფარგლებში, მან პირველად მოისმინა ტრადიციული ქართული ხალხური სიმღერა ახლად დაარსებულ ანსამბლ „გეორგიკას“ შესრულებით. ქართული სიმღერის ორიგინალურმა და თვითმყოფადმა ხასიათმა უმაღლესი მუსიკატმცოდნის ყურადღება, რის გამოც მან ანსამბლის შვეიცარიაში ტურნეზე მიწვევა და შვეიცარიელი მსმენელის ქართული მუსიკის თავისებურებით დაინტერესება გადაწყვიტა. 1992 წელს საბჭოთა კავშირის დანგრევამ და საზღვრების გახსნამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ანსამბლის შვეიცარიასა თუ სხვა ევროპულ ქვეყანაში მოგზაურობისათვის. „გეორგიკას“ კონცერტი რამდენჯერმე გადაიკა შვეიცარიის რადიოარხებით. ბატონი ჰაიზერმანისა და შვეიცარიული ფორმის, „Face Music“-ის, ერთობლივი ხელშეწყობით, გამოიკა გეორგიკას 6 ალბომი (1993, 1994, 1996), ასევე - ანსამბლ „მზეთამზის“ (1996 და 2000) და საბავშვო გუნდ „პატარა გეორგიკას“ (2007 წ.) ალბომები.

პარალელურად, თომას ჰაიზერმანმა მიზნად დაისახა ქართული ხალხური სიმღერის მეცნიერულად შესწავლა. ამ მიზნით, 1994-95 წლებში კიდევ ერთხელ და ამჯერად უკვე ერთი წლით ესტუმრა საქართველოს. ქართული ხალხური სიმღერის თემით 2002 და 2005 წლებში მოხსენებით წარდგა ტრადიციული მრავალხმიანობის პირველ და მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე. მისი და შვეიცარიული ფონდის, „pro Helvetia“-ს, ფინანსური მხარდაჭერით, გამოიკა ტრადიციული იმერულ-გურული საეკლესიო სიმღერების ალბომი, რომლის გერმანულენოვანი წინასიტყვაობის ავტორიც თავად ბატონი ჰაიზერმანია. 2007 წელს მისივე ხელშეწყობით გამოიკა იმერეთის სოფელ

კიციხის ანსამბლ „ოდილას“ ალბომი. იქიდან გამომდინარე, რომ შვეიცარიულ პრესაში ინტენსიურად აქვეყნებდა სტატიებს, ბატონ ჰოიზერმანს ხშირად იწვევდნენ ქართული ხალხური სიმღერის შესახებ მოხსენებების წასაკითხად (საქართველოს მეგობართა გაერთიანება (1998), ციურიხის საშუალო სკოლა (2000), ბოხუმის სამთო სკოლა და ბერლინის ქართველთა საზოგადოება (2002); ქართული მუსიკისა და ცეკვის დღეები ბაზელში (2003), ქართული კულტურის დღეები მარბურგში (2005)).

თომას ჰოიზერმანს საქართველოში ცხოვრების პირველ ეტაპზე ქართველ მეგობრებთან ურთიერთობა ძირითადად რუსულად უწევდა, დღეისათვის კი მისი ქართულის ცოდნა საკმარისია როგორც ყოველდღიური სასაუბრო თემებისათვის, ასევე რთული სამეცნიერო ტექსტების გასაგებად.

ბატონი ჰოიზერმანი აქტიურად არის ჩართული 1988 წელს შვეიცარიაში დაარსებულ „საქართველოს შვეიცარიელ მეგობართა გაერთიანების“ საქმიანობაში. 10 წლის განმავლობაში იყო ამ ორგანიზაციის პერიოდული გამოცემის როგორც რედაქტორი, ასევე მრავალი სტატიის ავტორი. 2013 წლიდან ზემოაღნიშნული გაერთიანების პრეზიდენტი.

ის ორგანიზებას უწევს ჩვენი ქვეყნით დაინტერესებული შვეიცარიელების მოგზაურობას საქართველოში.

1998 წელს, შვეიცარიის ისტორიული ლექსიკონის რედაქციის დავალებით, თომას ჰოიზერმანმა მუშაობა დაიწყო სტატიაზე შვეიცარიის ემიგრაციაში მცხოვრებ ქართველებზე (გრიგოლ რობაქიძე, ხარიტონ შავიშვილი, კიტა ჩხენკელი) და შვეიცარია-საქართველოს ურთიერთობაზე. მუშაობის პროცესში სხვა ემიგრანტების ბედ-იღბალთანაც მოუწია შეხება, 2013 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობისათვის მიხაკო წერეთლის რუსთაველის თარგმანის ტექსტი მოიპოვა. ამ მიმართულებით ბატონი ჰოიზერმანი დღემდე აქტიურად მუშაობს.

1994-1995 სასწავლო წელს დაწყებული თომას ჰოიზერმანის პედაგოგიური მოღვაწეობა მეექვსე საავტორო სკოლაში თანდათან ინტენსიურ საქმიან თანამშრომლობაში გადაიზარდა. თბილისში ყოფნის დროს ის კვლავაც აგრძელებს უფროსკლასელებთან გერმანულ ლიტერატურაზე საუბარს. გარდა ამისა, სერგი ოქროპირიძესთან ერთად მონაწილეობდა ლამარა ნაროუშვილის მიერ შედგენილი ლიტერატურის სახელმძღვანელოს რედაქტირებაში; ამირან სვიმონიშვილთან ერთად შეიმუშავა გერმანული ლიტერატურის კურსის სასწავლო გეგმა; სხვა შვეიცარიელ პედაგოგებთან ერთად კი, წლების განმავლობაში ორგანიზებას უწევს მოსწავლეთა ჯგუფების შვეიცარიაში მოგზაურობას (1997 წლიდან სულ 145 მოსწავლე). ამ კუთხით განსაკუთრებით ნაყოფიერია ქართველი ბავშვების 3-თვიანი მივლინება შვეიცარიაში, სადაც ისინი შვეიცარულ ოჯახებში ცხოვრობენ და ციურიხის საშუალო სკოლების გაკვეთილებს ესწრებიან (1995 წლიდან დღემდე - 34 მოსწავლე).

საქართველოსადმი მზარდი ინტერესის წყალობით, ბატონი ჰოიზერმანი დაუახლოვდა ცნობილი ქართველი ფილოლოგის, კიტა ჩხენკელის, მოწაფეებს - ლეა ფლურის, რუტ ნაიკომსა და იოლანდა მარშევს და მათთან ერთად მეორედ გამოსცა უკვე რარიტეტად ქცეული გერმანულ-ქართული სამტომიანი ლექსიკონი.

2000 წლის 23 აპრილს ბატონი ჰოიზერმანი სვეტიცხოველში მართლმადიდებლად მოინათლა, რაც მისი ქართულ კულტურასთან მჭიდრო კავშირით არის განპირობებული.

ბატონ თომას ჰოიზერმანს მრავალმხრივი საქმიანობისა და აქტიურობისათვის რამდენიმე ჯილდო აქვს მიღებული:

2001 წელი - საქართველოს თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულომ საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია „ქართული ხალხური შემოქმედების კვლევისა და დასავლეთ ევროპაში მისი პოპულარიზაციისათვის, ქართული მწერლობის შესახებ გამოქვეყნებული წერილებისათვის“.

2012 წელი - სატელევიზიო კომპანია „იმედი“ გადაცემაში „იმედის გმირები“ მის საქმიანობას სპეციალური რეპორტაჟი მიუძღვნა.

2013 წელი - საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, თომას ჰოიზერმანი ღირსების ორდენითა და საქართველოს მოქალაქეობით დაჯილდოვდა.